

ԿՈՑԻՐԸ ԶՆՏԵՎՈՒՄԵՆ  
ՅԵՐՅԵՐԸ

ԺՌՈՒՄԸՆ ԶՅՈՒՅՈՒՄԸ  
ՉԻՅՈՒՄԸ ԵՎ ԿՅՈՒՄԸ  
ԶՆՏԵՎՈՒՄԵՆՈՒՄԸ



ანგარიშის შინაარსი და მასში გამოთქმული მოსაზრებები საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას ეკუთვნის და არ გამოხატავს ა.შ.შ.-ის მთავრობის, USAID-ის ან IREX-ის შეხედულებებს.



ავტორები: **ანა მიქაელაძე**  
**მისეილ გოთოშია**

რედაქტორი: **სათუნა ყვირალაშვილი**

ტექ. რედაქტორი: **ირაკლი სვანიძე**

გამოცემაზე პასუხისმგებელი: **თამარ ჩუგოშვილი**  
**ნათია კაპანაძე**



აიწყო და დაკაბადონდა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო

(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2012, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

# შინაარსი

შესავალი .....	2
ნაწილი პირველი - ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისას გასათვალისწინებელი ძირითადი საკითხები .....	3
ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა .....	3
სტრატეგიული გეგმა და მისი მნიშვნელოვანი საკითხები .....	3
ეტაპობრივი თუ ერთდროული გადასვლა .....	3
ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ვადები .....	5
დაინტერესებული მხარეები .....	6
მომხმარებელთა დაცვა და ინფორმირება .....	7
საზოგადოებრივი მაუწყებლის როლი .....	7
სამაუწყებლო ბაზრის და კონკურენციის ანალიზი .....	8
სტანდარტები .....	8
ფასეულობათა ჯაჭვი .....	9
მულტიპლექსორები, ტექნიკური საკითხები და მეზობლებთან კოორდინაცია .....	11
საკანონმდებლო ბაზა და ცვლილებები .....	13
ფინანსური რისკები და მისი გადანაწილების საკითხები .....	13
ნაწილი მეორე - საქართველოში არსებული ვითარების მოკლე მიმოხილვა .....	14
ნაწილი მესამე - რეგიონალური მაუწყებლების წინაშე არსებული გამოწვევები .....	21
ნაწილი მეოთხე - რეკომენდაციები .....	24
დანართები .....	37

## **შესავალი**

ანალოგიური მაუნყებლობიდან ციფრულზე გადასვლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომელმაც ტექნოლოგიური განვითარების ეტაპზე მთელი მსოფლიო მოიცვა. სხვადასხვა ქვეყანა ამ ცვლილებისათვის სხვადასხვაგვარად ემზადება. პროცესში ჩართულია მარეგულირებელი კომისია, მთავრობა, მომსახურების მიმწოდებლები, მწარმოებლები და საზოგადოება. ეს ის ცვლილებაა, რომელიც მთელ ქვეყანას, საზოგადოების ყველა ფენას და, მეტიც, მეზობელ ქვეყნებსაც კი შეეხება.

ქვეყნები წლების მანძილზე ემზადებიან ამ ცვლილებისათვის. დღეისათვის უკვე არსებობს წარმატებული და წარუმატებელი მაგალითები. შესაბამისად, ალბათ უპრიანი იქნება, საქართველომაც გაითვალისწინოს საერთაშორისო მასშტაბით დაგროვებული გამოცდილება, გადადგას ქმედითი და ეფექტური ნაბიჯები ამ მიმართულებით.

ჩვენი მიზანია, კიდევ ერთხელ მიმოვიხილოთ ციფრულ მაუნყებლობაზე გადასვლის გზები, სტრუქტურა და შევცადოთ, განვსაზღვროთ, არის თუ არა საქართველო მზად ამ ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი ცვლილებისათვის.

წინამდებარე ანგარიში ოთხი ნაწილისაგან შედგება:

**ნაწილი პირველი – ციფრულ მაუნყებლობაზე გადასვლისას გასათვალისწინებელი ძირითადი საკითხები**

**ნაწილი მეორე – საქართველოში არსებული ვითარების მოკლე მიმოხილვა**

**ნაწილი მესამე – რეგიონული მაუნყებლების წინაშე არსებული გამოწვევები**

**ნაწილი მეოთხე – რეკომენდაციები**

## ნაწილი პირველი – ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისას გასათვალისწინებელი ძირითადი საკითხები

### ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა

გაციფრულების პროცესი იწყება პოლიტიკური გადანყვეტილებით, ნებით და მზაობით, რომ, ერთი მხრივ, ქვეყანამ დროულად, ადეკვატურად და ეფექტურად შეასრულოს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები, ხოლო მეორე მხრივ, ყველა მოქალაქემ შეძლოს სატელევიზიო მაუწყებლობის მიღება, ამასთან, უზრუნველყოფილი იყოს კონკურენცია და ბალანსის დაცვა ბაზრის მოთამაშეებს შორის.

პოლიტიკური გადანყვეტილების მიღების შემდეგ შესამუშავებელია სტრატეგიული გეგმა, რასაც ახორციელებს ის ორგანიზაცია, რომელიც შემდგომ მის იმპლემენტაციას და იმპლემენტაციის კოორდინაციას მოახდენს. ეს შეიძლება იყოს: რომელიმე სამთავრობო სტრუქტურა (მაგ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო), მარეგულირებელი კომისია (ელექტრონული კომუნიკაციების ან მაუწყებლობის) ან სპეციალურად ამ მიზნისათვის შექმნილი ორგანიზაცია.

ქვეყანა	ორგანიზაცია	ვებ-გვერდი
ესტონეთი	Committee for DTV Transition	
საფრანგეთი	France Télé Numérique	
გერმანია	Ueberallfernsehen	<a href="http://www.ueberallfernsehen.de">http://www.ueberallfernsehen.de</a>
იტალია	Italia Digitale	
ნიდერლანდები	Signaalopdigitaal	
ნორვეგია	NTV	<a href="http://www.ntv.no/">http://www.ntv.no/</a>
შვედეთი	Digital Switchover Commission	<a href="http://www.digitaltvoergangen.se">http://www.digitaltvoergangen.se</a>
დიდი ბრიტანეთი	Digital UK	<a href="http://www.digitaluk.co.uk">http://www.digitaluk.co.uk</a>

### სტრატეგიული გეგმა და მისი მნიშვნელოვანი საკითხები

#### ეტაპობრივი თუ ერთდროული გადასვლა

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა შესაძლებელია ეტაპობრივად ან ერთდროულად მთელი ქვეყნის მასშტაბით. ერთიანად გადასვლა ბევრად უფრო მარტივია იმ ქვეყანაში, სადაც მი-

ნისზედა სადგურებით საეთერო მაუნყებლობის (არა საკაბელო ან სატელიტური) მიღება შედარებით ნაკლებად ხდება. იმ ქვეყანაში კი, სადაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი საეთერო მაუნყებლობაზე მეტად არის დამოკიდებული, უმჯობესია, გადასვლა მოხდეს ნაწილ-ნაწილ, რადგან ერთიანი გადასვლის შემთხვევაში, მოსახლეობის დიდი ნაწილი აუცილებლად დარჩება მაუნყებლობის გარეშე.

**ეტაპობრივი გადასვლა** – ქვეყანაში უნდა განისაზღვროს, თუ რამდენ ეტაპად დაიყოფა ციფრულ მაუნყებლობაზე გადასვლის მთლიანი პროცესი, რომელი რეგიონი რომელ ეტაპზე გადავა და, შესაბამისად, რამდენ ხანში დასრულდება. მაგალითად, შვედეთში პროცესი 5 ეტაპად დაიყო (2005 წლის სექტემბერიდან 2007 წლის ოქტომბრამდე), დიდი ბრიტანეთში – 14 ეტაპად (2008-2012 წლები). ეტაპობრივი გადასვლის შემთხვევაში, ძალიან მნიშვნელოვანია პირველი ტექნოლოგიური არჩევანი და პირველი ეტაპი (მისი წარმატება, ვადების ზუსტი დაცვა და ა.შ.), რათა სწორად და დროულად მიჰყვეს მას მომდევნო ეტაპები. ეტაპობრივი გადასვლისას, ანალოგური მაუნყებლობის გათიშვა ქვეყანაში ხდება რეგიონების, სპეციალური გეგმის და გრაფიკის მიხედვით. ასეთ მიდგომას რამდენიმე დადებითი მხარე აქვს. პირველი და ძალიან მნიშვნელოვანი მდგომარეობა იმ-აში, რომ ჯგუფს, რომელიც გადასვლას უწევს კოორდინაციას, ექმნება რეალური სურათი, იძენს პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელსაც შემდეგ ითვალისწინებს მეორე და შემდგომი რეგიონის გადართვის დროს. შეცდომის დაშვებისას, ყოველთვის არის ამ შეცდომის გათვალისწინების შანსი უკვე სხვა რეგიონში. მეორე – გამოთავისუფლებული სიხშირეების გამოყენება შესაძლებელია მომიჯნავე (მეზობელ) რეგიონში იმისათვის, რომ გაიზარდოს ციფრული მაუნყებლობის გავრცელება და შესაბამისი მომსახურების სპექტრი. და ბოლოს, ასეთი მიდგომის გამოყენებისას, მის დამგეგმავებს შეუძლიათ, ციფრულ მაუნყებლობაზე გადართვის ხარჯები და სხვა რესურსები გაანაწილონ რეგიონების და პერიოდის მიხედვით.

ასეთი მიდგომა უკვე გამოყენებული იყო ავსტრიაში, გერმანიაში, ნორვეგიასა და შვედეთში. სავარაუდოდ, ამავე მიდგომას გამოიყენებენ ესპანეთში, საფრანგეთსა და იტალიაში.

**ერთიანი გადასვლა** – ასეთი მიდგომის პირობებში, მთელი ქვეყანა, ერთდროულად, ერთ დღეს გადაერთვება ანალოგურიდან ციფრულ მაუნყებლობაზე და, შესაბამისად, გაითიშება ანალოგური სიგნალი. ეს მიდგომა მისაღები და შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც გაშვებულია ციფრული მომსახურებები

და მისი მიღება ყველა მაყურებელს შეუძლია. ფინეთში, მაგალითად, ციფრულზე გადასვლა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსახლეობის 100%-ს ჰქონდა აღნიშნული მომსახურების მიღების ტექნიკური საშუალება. ასეთი მიდგომა გამოიყენეს ფინეთში, ანდორაში, ნიდერლანდების სამეფოში, ლუქსემბურგსა და დანიაში.

### **ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ვადები**

არც ერთ ქვეყანაში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა არ მომხდარა მოუფიქრებლად, სწრაფად და ერთი ხელის მოსმით, საფუძვლიანი მომზადების გარეშე.

უმნიშვნელოვანესია, რომ კარგად იყოს მოფიქრებული გადასვლის საბოლოო თარიღი, რადგან მის შეცვლას ძალიან უარყოფითი შედეგი მოჰყვება. შეთანხმებული თარიღის შეცვლა შეიძლება მხოლოდ უკიდურესად გამონაკლის შემთხვევაში – თუ ამ თარიღს მომზადებული არ ხვდება მოსახლეობის დიდი ნაწილი.

ასევე, მკაცრად უნდა იყოს დაცული არა მარტო გადართვის საბოლოო თარიღი, არამედ გადასვლის ეტაპების ყველა სხვა ვადა, რადგან, საბოლოო ჯამში, ამაზე დამოკიდებული, მაყურებლებს ექნებათ თუ არა შესაბამისი მომსახურების მიღების საშუალება. ეს ვადები უნდა იყოს ოპტიმალური. თუ საუბარია ეტაპობრივ გადასვლაზე, გასათვალისწინებელია, რამდენ ეტაპინა გადასვლის პერიოდი და რა ხანგრძლივობის იქნება თითოეული ეტაპი.

ძალიან მნიშვნელოვანია ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის დროის სწორად შერჩევა. ისეთი ფაქტორებიც კი, როგორიცაა წელიწადის დრო, კვირის დასაწყისი თუ ბოლო დღე, პოლიტიკური თუ სპორტული ღონისძიება, შეიძლება იყოს დამაბრკოლებელი ასეთი დღის შესარჩევად. უმჯობესია, არ იყოს ზამთრის ან ზაფხულის პერიოდი. ტექნიკური თვალსაზრისით, ზამთარში მუშაობა რთულია. ზაფხულში კი, დასვენების სეზონია და მომხმარებელს შესაძლოა ამან დისკომფორტი შეუქმნას. უმჯობესია, არ იყოს შაბათი ან კვირა (იმავე მიზეზის გამო). ასევე, გადართვა არ უნდა განხორციელდეს სპორტული ან კულტურული ღონისძიებების (მაგ. ოლიმპიადა, ჩემპიონატი და სხვა), ანდა პოლიტიკურად აქტიურ პერიოდში (მაგ. არჩევნების დროს).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია, თუ რომელმა ქვეყანამ რამდენი წელი მოანდომა ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლას.

ქვეყანა	გადასვლის სანყისი თარიღი	საბოლოო გადასვლის თარიღი
დიდი ბრიტანეთი	1998	2012
შვედეთი	1999	2007
ესპანეთი	2000/2005	2010
ფინეთი	2001	2007
შვეიცარია	2001	2008
გერმანია	2002	2008
ბელგია	2002	2010
ნიდერლანდები	2003	2006
იტალია	2003	2012
ანდორა	2004	2007
საფრანგეთი	2005	2011
ჩეხეთი	2005	2012
დანია	2006	2009
ნორვეგია	2007	2009
ირლანდია	2008	2012
პორტუგალია	2008	2012

### დაინტერესებული მხარეები

ციფრულ მაუნყებლობაზე გადასვლა – ეს ის საკითხია, როდე-საც შეიძლება ითქვას, რომ დაინტერესებული მხარეა მთელი ქვეყანა. ამიტომ აუცილებელია, გაიმართოს კონსულტაციები, შეიქმნას სამუშაო ჯგუფები და ჩატარდეს შეხვედრები. დაინტერესებული მხარეები შეიძლება დავყოთ ინტერესებისა და მათ მიერ ამ პროცესზე ზეგავლენის მოხდენის მიხედვით.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილებები, პარლამენტი იღებს საკანონმდებლო ცვლილებებს, აყალიბებენ სპეციალურ ორგანოს, ან ანიჭებენ რომელიმე ორგანოს უფლებას, მოახდინოს პროცესის კოორდინაცია და თავის თავზე აიღოს სრული პასუხისმგებლობა. აქ თავს იჩენს ამ პროცესის კოორდინატორის ძლიერი ლიდერული უნარების აუცილებლობა და მასზე დედეგირებული პასუხისმგებლობის საკითხი. ნებისმიერი სახის ინიციატივა და საქმიანობა უნდა ემსახუროდეს ერთ მიზანს – ციფრულ მაუნყებლობაზე ქვეყნის ეფექტურად და დათქმულ ვადებში გადართვას. ამისათ-



ვის გამოყენებული უნდა იყოს ნებისმიერი არსებული რესურსი (ადამინანური, ტექნიკური, ტექნოლოგიური და ფინანსური).

### **მომხმარებელთა დაცვა და ინფორმირება**

ყველა ქვეყანაში, სადაც უკვე განხორციელდა ციფრულ მაუწყებლობაზე გადართვა, ყველაზე დიდი დრო და რესურსი დაეთმო მომხმარებლის ინფორმირებას და იმას, რომ მაუწყებლობის გარეშე არავინ დარჩენილიყო. რეალურად, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა ხდება იმისათვის, რომ მომხმარებელმა, საბოლოო ჯამში, მიიღოს გაუმჯობესებული მომსახურება. მიზნის მისაღწევად კი, ძალიან დიდი და დაბრკოლებებით სავსე გზაა გასავლელი. საჭიროა, ყველა მომხმარებელმა იცოდეს, თუ რა არის ციფრული მაუწყებლობა და რამდენად მზად არის იგი ამისთვის (რამდენად აქვს, პირველ რიგში, ამის ტექნიკური საშუალება). მარტივად რომ ვთქვათ, მომხმარებელმა უნდა იცოდეს, აქვს თუ არა მას შესაბამისი ტელევიზორი, რომლითაც შეძლებს ციფრული სიგნალის მიღებას.

ამ მიზნით, უმჯობესია, სახელმწიფომ გამოიკვლიოს ორი უმნიშვნელოვანესი საკითხი:

- 1. სატელევიზიო პარკი.** მნიშვნელოვანია განისაზღვროს, როგორია ქვეყანაში სატელევიზიო პარკი. რატომის ტელევიზორებს ფლობს მოსახლეობა და დაახლოებით რამდენს. აქედან გამომდინარე, მისაღები იქნება გადანყვეტილება საბაჟო რეგულაციების შესახებ.
- 2. ფინანსური მდგომარეობა რეგიონების მიხედვით.** საჭიროა ვფლობდეთ ინფორმაციას რეგიონების მიხედვით, თუ როგორია მოსახლეობის ფინანსური მდგომარეობა და შეუძლიათ თუ არა მათ, შეიძინონ შესაბამისი რესივერი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გადავა თუ არა ეს ფინანსური ტვირთი სახელმწიფოზე.


### **საზოგადოებრივი მაუწყებლის როლი**

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში ძალიან დიდაა საზოგადოებრივი მაუწყებლის როლი და ფუნქცია. ბუნებრივია, ეს როლი გამომდინარეობს კანონმდებლობით მინიჭებული სტატუსიდან და აღნიშნული მაუწყებლობის გავრცელების არეალიდან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი გადასცემს უფასო არხებს, რომელიც ხელმისაწვდომია ქვეყნის მთლიანი მოსახლეობისათვის.

პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში საზოგადოებრივ მაუნყებელს გადაცემა მინიმუმ ერთი მულტიპლექსით სარგებლობის უფლება. ბევრ სახელმწიფოში, სადაც ეტაპობრივად მოხდა ციფრულ ტელევიზიაზე გადასვლა (იქნებოდა ეს არხებსა თუ რეგიონებზე ორიენტირებული ეტაპები), პირველ რიგში, მულტიპლექსი გადაეცა საზოგადოებრივ მაუნყებელს. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელის მეშვეობით განხორციელდა მაუნყებლობა, მოხდა მულტიპლექსის გადაცემა/ლიცენზირება სხვა, კომერციულ/კერძო არხებზე.

### სამაუნყებლო ბაზრის და კონკურენციის ანალიზი

როგორია ქვეყანაში სამაუნყებლო ბაზარი, კონკურენცია? რა ტექნიკურ საშუალებებს ფლობენ ისინი, რა ტიპის ლიცენზიები აქვთ? – ამ კითხვებზე სიღრმისეული პასუხები ციფრულ მაუნყებლობაზე გადასვლის პირველსავე ეტაპზე უნდა იქნეს გაცემული. ამ მიზნით, მთელი ქვეყნის მასშტაბით უნდა განხორციელდეს ქვეყანაში მოქმედი საეთერო, საკაბელო და სატელე-ტური მაუნყებლების შესწავლა. ანალიზში აუცილებლად გასათვალისწინებელია მაუნყებლების ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობები, ასევე ის, თუ ვინ რომელ ლიცენზიას და რა პერიოდით ფლობს.




### სტანდარტები

სახელმწიფომ უნდა დაადგინოს ერთი ან რამდენიმე DTTB სტანდარტი. ამის შემდეგ ოპერატორი თვითონ ირჩევს, რომელი გამოიყენოს.

## ფასეულობათა ჯაჭვი

ციფრული მაუწყებლობის დანერგვა ერთ-ერთი ისეთ ღონისძიებათაგანია, რომელმაც შეცვალა მთლიანად პროცესის ფასეულობათა ჯაჭვი, ჩამოაყალიბა ახალი სახის უფლებები, ვალდებულებები და შემოიყვანა მასში ახალი მონაწილეები.



ზემოთ ჩამოთვლილია მთლიანი ჯაჭვის რამდენიმე რგოლი და მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ, პრაქტიკულად, ერთ ორგანიზაციას შეუძლია, ერთი ან ერთზე მეტი როლის შესრულება ამ ჯაჭვში. მაგალითად, მაუწყებელს შეუძლია განახორციელოს ყველაფერი: შექმნას კონტენტი, მოახდინოს მისი აგრეგაცია, იყოს მულტიპლექს ოპერატორი, სერვის პროვაიდერი და კონტენტ პროვაიდერი. გარდა ამისა, ქსელის ოპერატორი შეიძლება იყოს ასევე მულტიპლექს ოპერატორი, სერვის პროვაიდერი და კონტენტ დისტრიბუტორი.

სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მოდელი იქნა შერჩეული და ქვევით მოცემულ ცხრილში ეს კარგად არის ნაჩვენები:

ქვეყანა	ციფრ. საეთერო ტვ/მოზ. ტვ	უფლებების სახეობა	კონტ. შექმნა	კონტენტ. გადაამუშავება	მულტიპლ. ოპერატ.	მომსახ. მიწოდ.	კონტენტის დისტრიბ.	ტექ. უზრუნ.
ფინეთი	ციფრ. საეთერო ტვ (მოდელი 1)	სპექტრი მაუწყებლ. ინფრასტრ.		X			X	
შვედეთი	ციფრ. საეთერო ტვ (მოდელი 2)	სპექტრი მაუწყებლ. ინფრასტრ.	X		X		X	
დიდი ბრიტანეთი	ციფრ. საეთერო ტვ (მოდელი 1)	სპექტრი მაუწყებლ. ინფრასტრ.	X		X	X	X	
გერმანია	მოზ. ტვ (მოდელი 2)	სპექტრი მაუწყებლ. ინფრასტრ.			X		X	
იტალია	მტვ (მოდელი 1)	სპექტრი მაუწყებლ. ინფრასტრ.	X			X	X	

სწორედ ამ ჯაჭვს ეფუძნება ლიცენზირების საკითხი, როდესაც საუბარია სიხშირულ სპექტრთან, მაუნყებლობასა და ინფრას-ტრუქტურის მართვასთან დაკავშირებულ უფლებებზე.

## **მულტიპლექსები, ტექნიკური საკითხები და მეზობლებთან კოორდინაცია**

როგორც უკვე ვნახეთ, ციფრულ მაუნყებლობაზე გადასვლისას, პროცესს და ღირებულებათა ჯაჭვს ემატება ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხი – მულტიპლექს ოპერატორის ფუნქცია, რაც თავისთავად ასევე გულისხმობს გარკვეულ ვალდებულებებს და პასუხისმგებლობებს.

რამდენი მულტიპლექსის საშუალებით გადაეცემა სატელევიზიო არხების სიგნალები ქვეყნის მასშტაბით? ვის მფლობელობაში იქნება ეს მულტიპლექსები? რა პირობებით უნდა დაუშვას მულტიპლექსის მფლობელმა მასში არხები? როგორი იქნება დამკვეთის ვალდებულება? რამდენი არხი უნდა დაუშვას ერთ მულტიპლექსზე? რა არხები უნდა ჩასვას საზოგადოებრივმა მაუნყებელმა ამ მულტიპლექსში? რა ბედი ენევით რეგიონულ მაუნყებლებს?

ეს ძალიან მნიშვნელოვანი კითხვებია, რომლებზე პასუხიც პრაქტიკულად განსაზღვრავს, მიენოდება თუ არა ბოლო მომხმარებელს სამაუნყებლო მომსახურება.

უმრავლეს შემთხვევაში, ქვეყანაში მინიმუმ ერთი მულტიპლექსი გადაეცემა საზოგადოებრივ მაუნყებელს, ხოლო დანარჩენი გადის აუქციონზე და იმართება ღია კონკურსი მისი სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად. მულტიპლექსის გადაცემისას გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საზოგადოებრივ მაუნყებელს, უპირველეს ყოვლისა, აქვს პრაქტიკულად 100 პროცენტისი დაფარვა და მეორე – იგი გადასცემს უფასო არხებს.

საერთაშორისო მასშტაბით უკვე ჩამოყალიბდა ორი ძირითადი მოდელი:

1. სიხშირული სპექტრის განაწილების უფლება გადაეცემა მულტიპლექს ოპერატორს, რომელიც გადაწყვეტს, თუ როგორ გაანაწილოს მოცემული სიხშირული ზოლის სიმძლავრეები სხვადასხვა სამაუნყებლო მომსახურების სუბიექტს შორის. ამ მოდელში სიხშირული ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია, ისარგებლოს განსაზღვრული სიხშირული სპექტრით და თავად გადაწყვიტოს, თუ რომელ სამაუნყებლო ორგანიზაციებს ექნებათ მულტიპლექსის არხებით სარგებლობის შესაძლებლობა. მულტი-

პლექსის ოპერატორის ფუნქცია და მომსახურების მიმწოდებლის ფუნქცია შესაძლოა ერთმა პირმაც შეითავსოს. ამ ერთ პირს შეუძლია, ტექნიკური ოპერაციების განხორციელების უფლება სპეციალური კონტენტის დისტრიბუტორს (ანუ სამაუწყებლო ქსელის ოპერატორს) გადასცეს. თუმცა, ამ მოდელში თითოეულ მაუწყებელს ან მომსახურების მიმწოდებელს მაინც შეიძლება დასჭირდეს სამაუწყებლო ლიცენზიის მოპოვება. ასეთი მოდელი მოქმედებს ნიდერლანდში, ბელგიასა და დიდ ბრიტანეთში.

2. სიხშირული სპექტრის უფლებები გადაეცემა კონტენტის დისტრიბუტორს, რომელსაც არ აქვს უფლება, თავად გადანყვიტოს, თუ ვინ დაუშვას მოცემული სიხშირული ზოლის მულტიპლექსის არხებთან. ამ მოდელში მარეგულირებელი ორგანო იღებს გადანყვიტილებებს იმის თაობაზე, თუ რომელ მაუწყებლებს ან/და მომსახურების მიმწოდებლებს გაუწიან მულტიპლექსით სარგებლობის უფლებები/ლიცენზიები. მაშასადამე, ამ მოდელში მულტიპლექსის ოპერატორის ფუნქციას თავად მარეგულირებელი ორგანო ახორციელებს. ამასთან, მომსახურების მიმწოდებელი და კონტენტის დისტრიბუტორი (ანუ სამაუწყებლო ქსელის ოპერატორი) შესაძლოა სხვადასხვა პირი იყოს. ეს მოდელი დამკვიდრდა გერმანიასა (მობილური სატელევიზიო მაუწყებლობა) და შვედეთში (ციფრული საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობა).

ჟენევის 2006 წლის შეთანხმების საფუძველზე, ევროპის, აფრიკისა და, ნაწილობრივ, აზიის ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ 2015 წლის 17 ივნისი იქნებოდა დღე, როდესაც რეგიონის ქვეყნებს აღარ მოეთხოვებათ, ხელი არ შეუშალონ მეზობელი ქვეყნების ანალოგური მომსახურებების ფუნქციონირებას. ეს დღე ითვლება ანალოგური მაუწყებლობის გათიშვის საერთაშორისო დონეზე აღიარებულ დღედ, როგორც მინიმუმ ნაციონალური საზღვრების მიჯნებზე მაინც. რა მოხდება ამ დღის შემდეგ?

საჭიროა, გამოიყოს სიხშირული არხები ახალი ციფრული მომსახურებებისათვის; მიღებულ უნდა იქნეს ზომები არსებული მომსახურებების დასაცავად ტექნიკური ჩარევებისგან; გადამცემ ანტიენა და სადგურებზე უნდა გამოიცვალოს ტექნიკური მონყობილობები; საჭიროა, დაიწყოს ახალი მომსახურებების წარმოება და შეიცვალოს ქსელის ინფრასტრუქტურა; მეზობელ ქვეყნებთან უნდა მოხდეს შეთანხმება კოორდინაციასთან დაკავშირებით.

## **საკანონმდებლო ბაზა და ცვლილებები**

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისათვის ნებისმიერი სახის ცვლილება, საბოლოო ჯამში, ასახვას ჰპოვებს საკანონმდებლო აქტებში. შესაბამისად, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისათვის შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის დროულად მომზადებასაც.

რა თქმა უნდა, საკანონმდებლო ცვლილებები მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგიაზე. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ საკითხზე მუშაობის პროცესში მთავრობამ უზრუნველყოს დაინტერესებული პირების ჩართვა.

## **ფინანსური რისკები და მისი გადანაწილების საკითხები**

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისათვის საჭირო ხარჯების ოდენობა ყველა ქვეყნისთვის ინდივიდუალურია. ასევე, სხვადასხვაგვარად ხდება აღნიშნული თანხების მოძიება, რისკებისა და ხარჯების გადანაწილება.

ფინანსური რესურსის დაგეგმვისას, ძალიან კარგად უნდა განისაზღვროს არა მარტო ტექნიკური საკითხებისათვის საჭირო ფინანსური დანახარჯი, არამედ საკომუნიკაციო და მარკეტინგული ღონისძიებებისათვის საჭირო სახსრებიც. აქვე განსაზღვრია იმ მოწყვლადი მოსახლეობის ოდენობა, რომელსაც სახელმწიფო დახმარება დასჭირდება, რათა საერთოდ სატელევიზიო მაუწყებლობის გარეშე არ დარჩეს.

მაგალითად, საფრანგეთში, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ხარჯი უფრო ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე ეს თავიდან იყო განსაზღვრული. საბოლოოდ, მისი ბიუჯეტი 150 მილიონი ევრო იქნება (თავიდან განსაზღვრული იყო 320 მილიონი ევრო). ამ თანხის 50% სახელმწიფომ დააფინანსა, 15% – საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, სამმა კომერციულმა ეროვნულმა მაუწყებელმა – TF1, M6, და Canal+ – თითოეულმა 10-10%. ხოლო საფრანგეთ-გერმანიის კულტურულმა სამსახურმა Arte – 5%. თავდაპირველად, სახელმწიფომ განსაზღვრა, რომ დაბალშემოსავლიანი ოჯახების დახმარებისათვის საჭირო იქნებოდა 120 მილიონი ევრო. თუმცა, ეს ხარჯი მხოლოდ 40 მილიონი აღმოჩნდა, რადგან მხოლოდ 200 000 ოჯახს დასჭირდა. ანალოგურზე საბოლოო გადართვა, როგორც დაგეგმილი იყო, 2011 წელს განხორციელდა. დღეისათვის მოსახლეობის 97.3% აქვს ციფრული მაუწყებლობის მიღების საშუალება. საფრანგეთში ანალოგურიდან

ციფრულზე გადასვლა დაიწყო 2009 წლიდან და ამ პროცესს სულ 22 თვე დასჭირდა. 2010 წელს უკვე გადასული იყო 10 რეგიონი, რაც მოსახლეობის 35%-ს შეადგენს. ციფრული მაუნყე-ბლობა მაყურებელს 19 უფასო, 10 ფასიან და 48 რეგიონულ მომ-სახურებას სთავაზობს.

## **ნაწილი მეორე – საქართველოში არსებული ვითარების მოკლე მიმოხილვა**

პირველ ნაწილში მოკლედ გადმოვეცით, თუ რამდენად დიდი და მასშტაბური სამუშაო აქვს ჩასატარებელი საქართველოს, რათა აღნიშნულ გამოწვევას მომზადებული შეხვდეს. მეორე ნაწილში შევეცდებით, მიმოვიხილოთ საქართველოში არსებული რეალო-ბა. ამ კვლევის მიზანი არ არის არგუმენტირებული პასუხების გაცემა ზემოთ დასმულ სტრატეგიულ შეკითხვებზე.

კვლევის მეორე ნაწილი დაეთმობა იმას, თუ რა არის გაკეთებუ-ლი ამ ეტაპზე.

### **ვინ მუშაობს საქართველოს ციფრულ მაუნყებლობაზე გა-დასვლასთან დაკავშირებულ თემებზე?**

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კან-ონის მე-6 მუხლის თანახმად: „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინ-ისტროს წინადადებათა გათვალისწინებით, შეიმუშავენს საქა-რთველოს მთავრობა და დასამტკიცებლად წარუდგენს საქარ-თველოს პარლამენტს.“ ამავე მუხლის თანახმად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს წარმართავს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას, ხელმძღვან-ელობს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებით.

ამდენად, ციფრულ მაუნყებლობაზე გადასვლასთან დაკავ-შირებით შეკითხვის ადრესატები სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი სუბიექტები არიან.

კითხვაზე – ვინ მუშაობს საქართველოს ციფრულ მაუნყე-ბლობაზე გადასვლასთან დაკავშირებულ თემებზე – პასუხის გასაცემად, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ რამდენჯერმე (2012 წლის 22 მაისს, 2012 წლის 25 ივლისს და 2012



ნლის 18 ოქტომბერს) მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. სამინისტროს მიერ მონოდებული პასუხებით (2012 წლის 31 მაისი, 2012 წლის 02 აგვისტო, 2012 წლის 23 ოქტომბერი) დადგინდა, რომ საქართველოში ციფრულ მაუნყეებლობაზე გადასვლის პოლიტიკის პროექტი შემუშავების პროცესშია, რომელიც სამუშაოთა დასრულების შემდეგ გახდება საჯარო.

მოგვიანებით, საიას 2012 წლის 24 ოქტომბრის დამაზუსტებელ წერილზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის 05 ნოემბრის კორესპონდენციით გვეცნობა, რომ „ევროპის განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკის (EBRD) და ფინეთის მთავრობის ტექნიკური დახმარებით, ევროპელი ექსპერტების მიერ შემუშავებულია ციფრულ მაუნყეებლობაზე გადასვლის პოლიტიკის და მისი განხორციელების სამსჯელო პროექტები, რომელთა დახვეწაზეც მუშაობა მიმდინარეობს. ამ საქმიანობაში ჩართულნი იქნებიან მაუნყებლების, შესაბამისი სამთავრობო და დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარმომადგენლები, სფეროს წამყვანი სპეციალისტები და ა.შ. განსახილველ მნიშვნელოვან საკითხთა რაოდენობიდან და სირთულიდან გამომდინარე, აღნიშნული დოკუმენტების პროექტებზე მუშაობის დასრულება ნავარაუდევია 2013 წლის 01 აპრილამდე, რის შემდეგ ისინი საზოგადოებრივი მსჯელობისათვის საჯარო გახდება.“

რაც შეეხება ზემოაღნიშნულ პროცესებში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ჩართულობას, კომისიის 2011 წლის ანგარიშში<sup>1</sup> მითითებულია, რომ 2011 წლის 12 დეკემბერს თბილისში ჩატარდა შავი ზღვის მაუნყებლობის მარეგულირებელი ორგანოების ფორუმის (BRAFA - the Black Sea Broadcasting Regulatory Authorities Forum) მეორე ყოველწლიური შეხვედრა.

შეხვედრას დაესწრნენ: აზერბაიჯანის, ალბანეთის, ბულგარეთის, თურქეთის, რუმინეთის, საქართველოს, სერბეთისა და სომხეთის მარეგულირებელი ორგანოების წარმომადგენლები.

შეხვედრაზე წარმოდგენილ იქნა პრეზენტაციები მარეგულირებელი ორგანოების სამაუნყებლო საქმიანობის შესახებ. ასევე, გაიმართა დისკუსია ციფრულ მაუნყებლობაზე გადასვლის თაობაზე.

შეხვედრაში მონაწილე ორგანიზაციები შეთანხმდნენ, რომ

<sup>1</sup> [http://www.gncc.ge/files/3100\\_2949\\_314871\\_1.pdf](http://www.gncc.ge/files/3100_2949_314871_1.pdf)

უფრო მჭიდროდ ითანამშრომლებენ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასევე, დაიგეგმება საინფორმაციო ხასიათის ვიზიტებიც.

გარდა ამისა, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ წლიურ ანგარიშში მიუთითა, რომ საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) ახალი ელექტრონული კომპიუტერული პროგრამა WISFAT-ის გამოყენებით განხორციელდა სიხშირეთა კოორდინაციით გათვალისწინებული სამუშაოები სამაუწყებლო და საზღვაო-სანაოსნო სამსახურებისთვის. მუდმივად წარმოებდა მეზობელი ქვეყნების ტელე და რადიო სამაუწყებლო სადგურების კოორდინაცია. განხორციელდა Geneva 06-ის გეგმით გათვალისწინებული ციფრული სამაუწყებლო სადგურების მოდიფიცირება საქართველოს მთლიანი ტერიტორიისთვის, რაც გამოქვეყნდა ITU-ს საინფორმაციო ბიულეტენში (BRIFIC 2709, 13.12.2011).<sup>2</sup>

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში 2012 წლის 24 ოქტომბერს გაიმართა პრეზენტაცია სახელწოდებით – „ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის მოდელები და კომისიის ხედვა“.

პრეზენტაციაზე კომისიამ წარმოადგინა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის გამოცდილება, როგორც მოსამზადებელ პერიოდში ჩატარებული ტექნიკური თუ სამართლებრივი სამუშაოების, ასევე იმის შესახებ, თუ რა პრობლემებს წააწყდა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ სხვადასხვა განვითარებული ქვეყანა.

პრეზენტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო კომისიის ხედვას, თუ რა მოდელით უნდა გადავიდეს საქართველო ციფრულ მაუწყებლობაზე. კომისიის რეკომენდაციაა, დაინერგოს Transmission standard DVB-T2 და Compression technology MPEG 4. კომისიას მიაჩნია, რომ ამ მოდელით ქვეყანა მოახერხებს სიხშირული რესურსის ეფექტურ გამოყენებას. იმ ქვეყნებში, სადაც ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა ე.წ. წინა თაობის სტანდარტით განხორციელდა, სიხშირული რესურსის ეფექტურად გამოყენების უზრუნველყოფას ვერ ახდენდნენ, რის გამოც ახლა თითქმის ყველა მათგანი ან სტანდარტის შეცვლის პროცესშია, ან უკვე დასრულებული აქვთ სამუშაოები. ყოველივე ეს კი, უზარმაზარ ხარჯებთან არის დაკავშირებული. მარეგულირებელი კომისია მიიჩნევს, რომ საქართველოს შესაძლებლობების მქონე

<sup>2</sup> [http://www.gncc.ge/files/3100\\_2949\\_314871\\_1.pdf](http://www.gncc.ge/files/3100_2949_314871_1.pdf) (გვ. 23/24)


ქვეყნისთვის არაგონივრული ხარჯი იქნება სხვა სტანდარტის არჩევა. მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, რომ Transmission standard DVB-T2 და Compression technology MPEG 4 ჩვენი სახელმწიფოსთვის ყველაზე შესაფერისი იქნება.

ეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხოლოდ რეკომენდაციაა. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების სამინისტრო და საქართველოს მთავრობაა.<sup>3</sup>

კომისიის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში განხილულია ძირითადი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის დროს და მოცემულია რამდენიმე რეკომენდაცია.

---

<sup>3</sup> [http://gncc.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=50712&info\\_id=113200](http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=50712&info_id=113200)



# DVB-T CHANNELS

**GEO249**

10, 11, 23, 27, 28, 33, 38,  
40, 43, 46, 58, 60, 65

**GEO250**

9, 23, 26, 27, 28, 29, 30,  
33, 35, 36, 37, 38, 40,  
43, 51, 52, 59, 60, 62, 63

**GEO253**

7, 10, 21, 22, 24, 25, 31,  
32, 34, 39, 41, 44, 46,  
47, 48, 49, 50, 52,  
53, 56, 58, 61, 65

**GEO256**

7, 9, 21, 22, 23, 24, 25,  
26, 28, 29, 30, 34, 37, 38,  
40, 42, 43, 46, 47, 50, 53

**GEO257**

8, 12, 27, 31, 32,  
33, 35, 36, 39,  
41, 44, 59, 65

**GEO252**

7, 8, 23, 26, 27, 28, 29,  
30, 33, 36, 37, 38, 40, 43,  
48, 58, 59, 60, 62, 63, 65

**GEO255**

6, 7, 21, 24, 25, 29, 30, 32, 34,  
37, 38, 40, 41, 43, 47, 53, 61

**GEO259**

6, 10, 21, 26, 38,  
40, 46, 50, 56, 58,  
60, 61, 62, 63

**GEO258**

8, 11, 27, 31,  
33, 35, 36, 39,  
41, 44, 51, 59, 65

**GEO261**

7, 11, 22, 23,  
25, 28, 29, 30, 43,  
47, 51, 52, 53, 57

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: „2005 წლის დასაწყისში, ITU-ს წინასწარი განიხილების შედეგად, საქართველოს ერგო სულ 72 ციფრული არხი. 2007 წელს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ძალისხმევით, მეზობელ ქვეყნებთან წარმოებული მოლაპარაკებისა და შესაბამისი ხელშეკრულებების ხელმოწერის შედეგად, მოხდა აღნიშნული არხების 72-დან 175-მდე გაზრდა და გასული წლის ნოემბრის თვეში მათი საბოლოოდ დამტკიცება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ არხების რაოდენობას დაეთანხმა ITU და საქართველოს მდგომარეობა რეგიონში „ეტალონურ სიტუაციად“ მიიჩნია. 2006 წელს ასევე ITU-ს მიერ რადიოკავშირის რეგიონულ კონფერენციაზე (RRC 06) შემუშავდა პირველი და მე-3 რეგიონებისთვის, 174-230 მგჰც-დან 470-862 მგჰც სიხშირულ დიაპაზონებში მიწისზედა ციფრული მაუწყებლობის გეგმა Geneva 06, რომელიც მიზნად ისახავდა რადიოსიხშირული სპექტრის ეფექტურად გამოყენებას როგორც ნაციონალურ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ამავე გეგმის მიხედვით, საქართველოსთვის დაგეგმარებულ იქნა 175 ციფრული არხი, რომლებიც განიხილდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე 10 სამაუწყებლო ზონაში.“

ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველოს მასშტაბის ქვეყნისათვის 175 სამაუწყებლო არხი სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ არსებულმა თუ პოტენციურმა კომპანიებმა მაუწყებლობა თავისუფლად განახორციელონ.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის გეოგრაფიული თავისებურება სრულიად გათვალისწინებულია ამ არხების განაწილებაშიც და შავი ზღვის მხარეს ქვეყანა კარგად არის დაცული. თავის მხრივ, სამხრეთ და ჩრდილოეთის კავკასიონის ქედები ბუნებრივი დაცვაა ქვეყნისათვის. მოპოვებული მონაცემების თანახმად, აზერბაიჯანის მხარეს შედარებით ნაკლებია არხების რაოდენობა, თუმცა, ჩვენი აზრით, მაინც სავსებით საკმარისია ხელშემშლელის თავიდან ასაცილებლად, მით უფრო როდესაც არსებობს შესაბამისი შეთანხმება ქვეყნებს შორის.

აქვე აღნიშნულია, რომ ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გარდამავალ პერიოდში სასურველია გამოყენებულ იქნეს ციფრული მაუწყებლობის საერთო ევროპული სტანდარტი DVB, ხოლო სიგნალის კომპრესირებისას (შეკუმშვისას) — MPEG-4 ან უფრო მაღალი. ასეთი სტანდარტების გამოყენებით, შესაძლებელი იქნება ერთ სატელევიზიო არხში 6-8 სტანდარტული ხარისხის სატელევიზიო პროგრამისა და, იმავდროულად, 4 რადიო არხის მოთავსება.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გამოქვეყნებული ბოლო ანგარიშის მიხედვით, მაუნყებლობის ტრანზიტის სამი ძირითადი ანუ ყველაზე დიდი ოპერატორები არიან: სუპერ ტივი, სილქნეტი და ჯი-ენ-ენი. მათი აბონენტების რიცხვმა ჯამში 171,641-ს მიაღწია.

სს „სილქნეტის“ აბონენტების რაოდენობა 2011 წელს მკვეთრად გაიზარდა და წლის ბოლოს 43,027 შეადგინა. სამაგიეროდ, შემცირდა შპს „სუპერ ტვ-ს“ და სს „ჯი-ენ-ენის“ აბონენტების რაოდენობა და, შესაბამისად, 37,936 და 19,140 შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ახალი თაობის ქსელების განვითარებამ ოპერატორებს საშუალება მისცა, დაენერგათ ციფრული ფორმატის ტრანზიტული მაუნყებლობა (მათ შორის IPTV), რამაც მომსახურების აღნიშნული სახე თვისობრივად ახალ საფეხურზე აიყვანა – მითითებულია კომისიის ანგარიშში.<sup>4</sup>

## **ნაწილი მესამე - რეგიონული მაუნყებლობის წინაპიარსებული გამოწვევები**

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ციფრულ მაუნყებლობაზე გადასვლა ისეთი ტიპის და ბუნების ცვლილებაა, რომელიც პრაქტიკულად ქვეყნის ყველა მოქალაქეს შეეხება. ერთი მხრივ, ჩნდება ახალი შესაძლებლობები, ხოლო მეორე მხრივ, იკვეთება ახალი რისკები. შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი მთავარი სუბიექტი, რომლის საქმიანობის რისკვაქტორი იზრდება, არის რეგიონული მაუნყებელი.

ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მხრიდან დახმარების მიღების გარეშე, რეგიონული ტელევიზიები საერთოდ გაქრება და დაიხურება. თუ გადასვლის პირველსავე ეტაპზე არ იქნება მიღებული გადანყვეტილება იმის შესახებ, თუ როგორ და რა სახსრებით მოხდება რეგიონული ტელევიზიების ეკონომიკური ბაზის ფორმირება, ახალი, ციფრული მაუნყებლობის პირობებში, მაყურებელი შეიძლება საერთოდ დარჩეს მისთვის საინტერესო, რეგიონული და ადგილობრივი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობის გარეშე. ციფრულ ტექნოლოგიაზე გადასვლისას, გაჩნდება ახალი არხები, რომლებმაც, თავის მხრივ, შეიძლება შეზღუდონ რეგიონული ტელევიზიები.

შესაძლებელია, რეგიონულმა არხებმა შეინარჩუნონ თავისი სახე და მაყურებელი, თუმცა, მათ დასჭირდებათ დამატებითი ფინანსური რესურსის მოძიება საკუთარი პროდუქციის შექმნის

<sup>4</sup> [http://www.gncc.ge/files/3100\\_2949\\_314871\\_1.pdf](http://www.gncc.ge/files/3100_2949_314871_1.pdf) გვ. 54.

ან სხვისი პროდუქციის შესყიდვისათვის. კონკურენცია ძალიან გაიზრდება.

ის ფინანსური ხარჯები, რაც უნდა გაიღოს რეგიონულმა ტელევიზიამ, ძალიან რთულად მოსაძიებელი შეიძლება აღმოჩნდეს. ამასთან, გადასაწყვეტია, ისინი თავად გაუძღვებიან ამ ხარჯებს, თუ შესაძლებელია მიიღონ დახმარება სახელმწიფოს მხრიდან.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რამდენად აქვს რეგიონულ ტელევიზიას იმის ფინანსური შესაძლებლობა, რომ გადაიხადოს მულტიპლექს ოპერატორის მიერ დაწესებული გადასახადი. მნიშვნელოვანია გაირკვეს, თუ ვინ უნდა დააწესოს ეს გადასახადი?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთი მულტიპლექსის შექმნა და ქსელის აგება უნდა მოხდეს სახელმწიფოს ხარჯზე. მეორე და მესამე მულტიპლექსის შემთხვევაში, ხარჯები შეიძლება გაიღოს კერძო კომპანიამ (მულტიპლექსის ოპერატორმა). გასარკვევია საკითხი, მაგალითად, ფულის გადახდის შემთხვევაში, ჩასვამს თუ არა მულტიპლექს ოპერატორი თავის მულტიპლექსში რეგიონულ მაუწყებელს, რომლის აუდიტორია, შესაბამისად, შემოსავლები და გადახდისუნარიანობა შეზღუდულია.

პირველ რიგში, მიღებულ უნდა იქნეს პრინციპული გადაწყვეტილებები რეგიონულ არხებთან დაკავშირებით და მერე უნდა გადაწყდეს ტექნიკური პრობლემები – რომელი არხები როგორ იმაუწყებლებენ და ვინ გადაიხდის ამ მაუწყებლობის საფასურს?

ეს არის სერიოზული გამოწვევა რეგიონული მაუწყებლებისათვის. სახელმწიფომ კი, ხელი უნდა შეუწყოს მათ, რათა იპოვონ თავიანთი ადგილი ახალ ციფრულ სივრცეში.

ნათელია, რომ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისას, ეროვნული მაუწყებლები თავის ადგილს იპოვიან (არხს დაიკავენ) მულტიპლექსებში (ერთსა თუ რამდენიმეში, ფასიანსა თუ უფასოში – ეს კიდევ განხილვის და დისკუსიის საგანია). რა უნდა გააკეთონ რეგიონულმა ტელევიზიებმა, როგორ უნდა იპოვონ საკუთარი ადგილი?

შესაძლებელია პირველ მულტიპლექსში შევიდეს თითო რეგიონული არხი (თითო რეგიონიდან – ერთი). ასევე, შესაძლოა რეგიონულმა ტელევიზიამ რეგიონული ბიუჯეტიდან დაფინანსება მოითხოვოს.

ამასთან, რეგიონულ მაუწყებლებს მოუწევთ თანამედროვე აპარატურის შექმნაც, რაც ასევე საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნებაა. იმისათვის, რომ მან ბოლო მომხმარებლამდე მიი-



ტანოს მაღალი ხარისხის კონტენტი, აუცილებელია ჰქონდეს მაღალი ხარისხის აპარატურა. საიდან, რა სახსრებით უნდა შედგონ კომპანიებმა ასეთი ტექნოლოგიური გადაიარაღება? ექსპერტების აზრით, მაუწყებლების უმრავლესობა მხოლოდ საკუთარი რესურსით ვერ გასწვდება ამხელა დანახარჯს.

დღეს რთულია იმის ანალიზი, თუ რა ტექნიკურ თუ ადამიანურ რესურსს ფლობენ რეგიონული ტელევიზიები. არც ის იქნება სწორი, რომ ყველა მათგანი ერთიან სივრცეში განვიხილოთ. მათი მდგომარეობა რეგიონების მიხედვით სხვადასხვაა. საკითხი ყველა მათგანთან მიმართებით კონკრეტულ შესწავლას საჭიროებს. ასევე შესასწავლია, თუ რომელ რეგიონში რა შესაძლებლობები, მოთხოვნები და საჭიროებებია ინფორმაციის მიწოდებასა და, ზოგადად, ინფორმაციის არსებობაზე. გადამწყვეტი როლი ენიჭება რეგიონულ ტელევიზიებში არსებულ ადამიანურ რესურსს და მათ მზაობას, მომზადებული შეხვდნენ ასეთ, შეიძლება ითქვას, მთლიანად მათი ბიზნესისთვის რეკოლუციურ ცვლილებას. გამორიცხული არ არის, მათ იფიქრონ გამსხვილებაზე (გაერთიანებაზე, შერწყმაზე და ა.შ.) რეგიონის შიგნით. ასევე, შესაძლებელია, იფიქრონ სხვა რეგიონულ (სხვა რეგიონის) ტელევიზიებთან სტრატეგიულ პარტნიორობაზე. ნებისმიერი გზის არჩევა მათი ბიზნესის განვითარებისა და სტრატეგიული ხედვიდან გამომდინარეობს და ცალსახა რეკომენდაციის მიცემა, ჩვენი მხრივ, არაკორექტულად გვეჩვენება. ერთი კი ცხადია, მათ პირველ რიგში კარგად უნდა გაიგონ, რას ნიშნავს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა და რას უქადის მათ ბიზნესს (საჭირო გახდება მთლიანად ბიზნესის არსის გადახედვა). უნდა გაიაზრონ, რომ აღმოჩნდებიან სრულიად ახალ, მათთვის ჯერ კიდევ უცნობ გარემოში. აქედან გამომდინარე, უპრიანია რეგიონული ტელევიზიების ხელმძღვანელებისათვის სპეციალური საგანმანათლებლო ტრენინგის ჩატარება.

ტექნიკური რესურსის შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია, თუ რომელი რაიონის/მუნიციპალიტეტის შესახებ ინფორმაციას/პრობლემებს აშუქებს ესა თუ ის ტელევიზია. მნიშვნელოვანია, ასევე, გაირკვეს, თითოეული რეგიონული ტელევიზია რა დროს უთმობს საკუთარ პროდუქციას და რითი ავსებს (რა პროდუქციით/სხვა რომელი ტელეკომპანიის პროდუქციით) ეთერს.

დღეს არ ვაკეთებთ იმის ანალიზს, თუ რომელ რეგიონში რამდენი რეგიონული ტელევიზია ფუნქციონირებს. ერთიანობაში, ჩვენი აზრით, ციფრული მაუწყებლობის განვითარების პარალელურად, რთული იქნება ამ ტელევიზიების ფორმატის და სტატუ-

სის შენარჩუნება. საეჭვოა, რომ ისინი ასეთ დროს ცალ-ცალკე გადარჩებიან. აქედან გამომდინარე, მათი გადარჩენის ერთადერთ გზად ერთ მსხვილ რეგიონულ ტელევიზიად ან კონგლომერატად გაერთიანება გვესახება. თუ როგორ მოხდება მათი გაერთიანება (რომელი ტელევიზიის ირგვლივ, რა პრინციპით), ეს მათივე გადასახვევითა და თითოეულ შემთხვევაში ცალ-ცალკე იქნება განსახილველი. მეორე და ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რა როლს ითამაშებენ ამ დროს საერთო ეროვნული მაუწყებლები (ფინანსურად, ეკონომიკურად და სტრუქტურულად მათზე ბევრად ძლიერი ბიზნესები). უნდა ჩაერიოს თუ არა სახელმწიფო (უნდა იარსებოს თუ არა რეგულაციებმა) ამ ეტაპზე, თუ დამოუკიდებლად უნდა მოაგვაროს ეს პრობლემა ბაზარმა. იმ შემთხვევაში, თუ საკითხი ბაზრის დასარეგულირებელი იქნება, მოსალოდნელია, რომ საერთო ეროვნული მაუწყებელი შთანთქავს რეგიონულ მაუწყებელს (ან მაუწყებელთა კონგლომერატებს). აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, პირველ ეტაპზე მაინც გარკვეული რეგულაციების დანერგვა საჭირო და აუცილებელი იქნება. თუმცა, კონკრეტულად როგორ უნდა ჩაერიოს და რა ტიპის რეგულაციები დააწესოს სახელმწიფომ, ეს ამ ანგარიშის მიზანს არ წარმოადგენს და ცალკე შესწავლის თემაა.

რეგიონული მაუწყებლების ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ გზას შეიძლება წარმოადგენდეს საერთო ეროვნული მაუწყებლებისათვის რეგიონული ინფორმაციის მიმწოდებლის ფუნქციის საკუთარ თავზე აღება (ანუ, მაგ. კახეთის რეგიონული ბიურო კი არ ჰქონდეს, არამედ გამოიყენოს რეგიონული მაუწყებლის რესურსი).

## **ნაწილი მეოთხე – რეკომენდაციები**

ანგარიშის პირველ და მეორე ნაწილში შევეცადეთ, მოკლედ მიმოგვეხილა, თუ როგორია საერთაშორისო გამოცდილება, მესამე ნაწილში კი ჩამოვყალიბებთ იმ ძირითად საკითხებს, რომლებიც ქვეყანას შესასრულებელი აქვს, რათა მისი მაცხოვრებლების გარკვეული ნაწილი მაუწყებლობის გარეშე არ დარჩეს.

ქვეყნის უმაღლესმა ხელმძღვანელობამ უნდა გადანიშნოს, რომელმა ორგანომ გაუწიოს კოორდინაცია ამ პროცესს. დღეს არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ამ საქმეს სათავეში უნდა ჩაუდგეს კონკრეტულად ამ მიზნით შექმნილი კომისია ან საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

ასეთი ორგანო შესაძლებელია იყოს საზოგადოებრივი მაუწყე-

ბლის, მაუნყებლების და მულტიპლექს ოპერატორების მფლობელობაში, რომლებიც, შესაბამისად, ასევე დააფინანსებენ მას (მაგ. დიდი ბრიტანეთის მაგალითი).

**რეკომენდაცია:**  
**ციფრულ მაუნყებლობაზე გადასვლის სპეციალური ინსტიტუციის შექმნა**

ნებისმიერი სხვა გადანყვეტილების მიღებამდე, აუცილებელია დაინტერესებული პირების განსაზღვრა და მათი მონაწილეობით შეხვედრების ორგანიზება. დაინტერესებული მხარეების განსაზღვრისას, უნდა გაანალიზდეს მათი გავლენების ხარისხი, ვის რა ფუნქციის განხორციელება შეუძლია პროცესის ხელშეწყობის ან ხელშეშლის თვალსაზრისით. პროცესში გასათვალისწინებელია არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი, განსაკუთრებით, მოსახლეობის ინფორმირების კუთხით.

**რეკომენდაცია :**  
**დაინტერესებული პირების , პროცესში მათი როლის და მნიშვნელობის განსაზღვრა და მათთან მუდმივი შეხვედრების და კონსულტაციების დაგეგმვა**

დაინტერესებული პირების განსაზღვრისა და მათთან კონსულტაციების შემდეგ, აუცილებელია მთლიანად სამაუნყებლო ბაზრის დეტალური ანალიზი და კვლევის ჩატარება.

სამწუხაროა, რომ არ არის ხელმისაწვდომი კვლევა ქვეყანაში არსებული რესურსების თაობაზე. ვფიქრობთ, რომ კვლევამ მინიმუმ უნდა მოიცავს შემდეგი საკითხები:

- მაუნყებლობის ლიცენზიის მფლობელი კომპანიები, დაფარვის ზონა და მათი ტექნიკური/ტექნოლოგიური შესაძლებლობები;
- სამაუნყებლო ზონების მიხედვით, რეგიონული ტელევიზიები, მათი დაფარვის არეალი და ტექნიკური/ტექნოლოგიური შესაძლებლობები;

- რამდენი აბონენტი ჰყავს რეგიონულ საკაბელოებს;
- ვის და რომელ რეგიონში რა ტიპის გადამცემი აქვს;
- რეგიონული საკაბელოების მაუწყებლობის პერიოდი, ანუ ვინ რამდენი ხანი მაუწყებლობს და რა დროს უთმობს სხვა არხების რეტრანსლირებას.

### **რეკომენდაცია :**

#### **სამაუწყებლო ბაზრის კვლევის ჩატარება**

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა, მთლიანობაში, საკმაოდ ძვირადღირებული პროცესია. სხვადასხვა ქვეყანამ მასში სხვადასხვა ფასი გადაიხადა, თუმცა, ეს ხარჯი რამდენიმე (ხშირად ასეული) მილიონი დოლარის ფარგლებში მერყეობს. შესაბამისად, მისი გაღება ძალიან ძნელია ერთი რომელიმე (თუნდაც საბიუჯეტო) წყაროდან. აქედან გამომდინარე, თანხა ნაწილდება რამდენიმე მხარეზე (სახელმწიფო, კერძო სამაუწყებლო კომპანიების და საზოგადოებრივი მაუწყებლის სახსრები). ხარჯების დაგეგმვისას, უპირველესად, გასათვალისწინებელია საკუთარი მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა, მაუწყებლების ფინანსური და ტექნოლოგიური მდგომარეობა და საინფორმაციო კამპანიაზე დასახარჯი სახსრები.

### **რეკომენდაცია :**

**ფინანსური დანახარჯების დაგეგმვისას გასათვალისწინებელია მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა, კომპანიების ეკონომიკური მდგომარეობა და ციფრული მაუწყებლობის არსის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობა.**

ქვეყანამ, მთელი რიგი პრინციპებიდან გამომდინარე, უნდა მიიღოს გადანყვეტილება, თუ რომელ სტანდარტზე გადავა და გამოიყენებს ციფრული მაუწყებლობის პირობებში.

**რეკომენდაცია:**

**მაუწყებლობის სტანდარტის შერჩევა.**

სამაუწყებლო ბაზრის ჩატარებასთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია მოსახლეობის შესაძლებლობების გაანალიზება რეგიონების მიხედვით. აუცილებელია ვიცოდეთ, რომელ რაიონში რამდენი ფინანსურად ხელმოკლე მაცხოვრებელია და, შესაბამისად, რამდენი საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან დახმარებას. ასევე, გასათვალისწინებელია, თუ როგორია ტელევიზორების პარკი საქართველოში, რაც მოგვცემს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ფინანსური რესურსი გვესაჭიროება, პირველ რიგში, ისეთი ოჯახების დახმარებისათვის, რომლებსაც სპეციალური რესივერების შექმნა დასჭირდებათ და რა ტიპის რესივერებია საჭირო.

**რეკომენდაცია:**

**მოსახლეობის მზაობის კვლევა,  
მიიღოს ციფრული სიგნალი.**

ჩვენი აზრით, საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, უმჯობესია ქვეყანამ აირჩიოს ეტაპობრივი გადასვლა და პროცესი დაიწყოს დიდი ქალაქებიდან. გადანყვეტილების მიღებისას, გასათვალისწინებელია რეგიონში სოციალურად დაუცველი ოჯახების ოდენობა.

ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებაც, რომ ყველა ქვეყანა ცდილობს, დაიცვას თავისი საზღვრები მეზობელი ქვეყნების მხრიდან სიხშირული სიგნალების შემოჭრისაგან. ამდენად თავიდანვე გასათვალისწინებელია სიხშირული სპექტრის გავრცელების მხრივ პრობლემატური სასაზღვრო რეგიონები.

**რეკომენდაცია :**

**ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ეტაპების განსაზღვრა  
კონკრეტული რეგიონების მიხედვით.**

ეტაპობრივი პრინციპის შერჩევას, ყველაზე მნიშვნელოვანია პირველი ეტაპის სწორად დაგეგმვა და შემდეგ მისი შედეგების გაანალიზება. პირველ ეტაპზე დაშვებული შეცდომები ყოველთვის შეიძლება გავითვალისწინოთ მეორე და შემდეგ ეტაპებზე. ამიტომაც, პირველ და მეორე ეტაპს (და შემდგომ) შორის უნდა იყოს გარკვეული პერიოდი. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველომ უკვე ძალიან დიდი დრო დაკარგა მოსამზადებელი სამუშაოებისთვის, 2015 წლის 16 ივნისამდე პროცესის მოსასწრაფად ძალიან ბევრი საქმე სწრაფად არის გასაკეთებელი. თუმცა, მეორე მხრივ, ვადები უნდა იყოს რეალისტური და არა – ოპტიმისტური, ეფუძნებოდეს კონკრეტული კვლევების შედეგებსა და ანალიზს. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საბოლოო თარიღის შეცვლა დაუშვებელია.

### **რეკომენდაცია:**

**ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ეტაპების და საბოლოო თარიღის (ვადის) დათქმა.**

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იცვლება პროცესის ჯაჭვი (ღირებულებების ჯაჭვი) და, შესაბამისად, ბაზარზე შემოდის ახალი მოთამაშე (ები). ეს და სხვა თანმდევი პროცესები უნდა აისახოს კანონმდებლობაში. გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობა, ასევე, განერილია საერთაშორისო აქტებში. როგორც უკვე ვნახეთ, ერთმა სუბიექტმა შეიძლება შეასრულოს რამდენიმე როლი, კერძოდ:<sup>5</sup>

<sup>5</sup> International Telecommunications Union, Guidelines for the Transition from Analogue to Digital Broadcasting, 2010,p.

უფლების სახეობა	ღირებულების შექმნის პროცესი ციფრული საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობისა და მობილური სატელევიზიო მაუწყებლობის პირობებში						
	კონტენტის შექმნა	კონტენტების ბაზამუშავება	მულტიპლექსოპერატორი	სერვის პროვაიდერი	კონტენტის დისტრიბუტორი	ტექნიკური უზრუნველყოფა	
სიბშირული სპექტრი			X	X	X		
მაუწყებლობა		X	X	X			
ინფრასტრუქტურის მართვა				X	X		

ფუნქციების განაწილების ეს სქემა სრულად უნდა აისახოს კანონმდებლობაში.

### რეკომენდაცია:

#### საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება.

აღნიშნულ ღირებულებების ჯაჭვში ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება ეხება მულტიპლექსის ოპერატორს. შესაბამისად, მის შესახებ გადამწყვეტილების მიღება მოითხოვს მთელი რიგი საკითხების გააზრებას. ჩვენი ანგარიშის ფორმატში ვერ გადავწყვეტთ, თუ რამდენი მულტიპლექსი ესაჭიროება ქვეყანას. აქ მხოლოდ ჩამოვთვლით იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რაზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება:

- რამდენი მულტიპლექსი უნდა იყოს საქართველოში?
- რა სიმძლავრის იყოს ეს მულტიპლექსები?
- ვინ უნდა ფლობდეს მულტიპლექს (ებს)?
- ვინ ადგენს, თუ რამდენი არხი უნდა განთავსდეს ერთ მულტიპლექსში?
- როგორ უნდა მოხდეს მულტიპლექსის აუქციონზე გატანა და მის ოპერირებაზე ლიცენზიის გაცემა?
- როგორ რეგულირდება მულტიპლექსში არხის განთავსების ფასები?
- როგორ დარეგულირდება ფასიანი არხების საკითხი?
- რაიმე საფრთხე ხომ არ წარმოეშობათ რეგიონულ (ფინანსურად არცთუ ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ) მაუწყებლებს?

სავარაუდოდ, ერთი მულტიპლექსი იქნება საზოგადოებრივი მაუწყებლის საკუთრებაში და ის გადასცემს უფასო არხებს. ასეთ შემთხვევაში, დაფარვა იქნება პრაქტიკულად 100% და, შესაბამისად, ამ არხების მიღების საშუალება ექნება ქვეყნის მთელ მოსახლეობას.

### რეკომენდაცია:

**მულტიპლექსების რაოდენობის, მათში განსათავსებელი არხების ოდენობის, ღირებულების განსაზღვრა და სხვა რეგულაციების დაწესება.**



ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პერიოდში და, განსაკუთრებით, გადასვლის მერე იზრდება საზოგადოებრივი მაუწყებლის როლი, რაც, პირველ რიგში, უკავშირდება იმას, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი უკვე ფლობს შესაბამის ქსელს, გადასცემს უფასო არხებს და მის საკუთრებაში გადადის მინიმუმ ერთი მულტიპლექსი. ბუნებრივია, გადანაცვტილებას იმის შესახებ, თუ რომელი არხები უნდა გაუშვას ამ მულტიპლექსით, საზოგადოებრივი მაუწყებელი ერთპიროვნულად არ იღებს. თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია მისი მზაობა, დაუშვას სხვა არხები „თავის“ მულტიპლექსში, გაუზიაროს ქვეყნის მოსახლეობას მის ხელთ არსებული ტექნოლოგიური სიკეთე და მიაწოდოს მათ სხვადასხვა მინაარსის სპეციალიზირებული არხები.

### **რეკომენდაცია:**

**საზოგადოებრივი მაუწყებლის აქტიური ჩართვა პროცესის საწყისი ეტაპიდანვე.**

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისას, საბოლოო ჯამში, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მოსახლეობამ მიიღოს მეტი სარგებელი და უკეთესი მომსახურება. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია მოსახლეობის ინფორმირების კამპანიის სწორად და მართებულად დაგეგმვა და განხორციელება. საერთაშორისო მასშტაბით არსებობს ძალიან ბევრი წარმატებული საინფორმაციო კამპანიის მაგალითი. ყველა/თითოეულმა მომხმარებელმა უნდა იცოდეს, თუ რას ნიშნავს ციფრული მაუწყებლობა, ყველას უნდა ჰქონდეს სიგნალის მიღების საშუალება და ყველამ უნდა იცოდეს, როდიდან ხდება ქვეყნის მასშტაბით ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა.

### **რეკომენდაცია :**

**საინფორმაციო კამპანიის მიზანია, ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ იცოდეს, თუ რა არის ციფრული მაუწყებლობა, როგორ უნდა მოემზადოს ციფრული სიგნალის მისაღებად და როდიდან მიიღებს ის გაუმჯობესებულ მომსახურებას.**

ყველა ქვეყანაში და, მათ შორის საქართველოშიც, დღემდე გაიცემოდა (და გაიცემა) ლიცენზიები ანალოგურ მაუნყებლობაზე. ამ ლიცენზიების საფასური საკმაოდ მაღალია და სხვადასხვა კომპანიას შესაბამისი სიხშირის გამოყენების უფლება 10 წლით აქვს ნაყიდი (ან გაგრძელებული). შესაბამისად, აღნიშნული ლიცენზიების მოქმედება 2015 წლის შემდეგ შეწყდება. რა ბედი ელით ამ ლიცენზიებს და გადახდილ თანხებს? როგორ გადაანანილებს სახელმწიფო ბიუჯეტში უკვე შესულ თანხებს კომპანიებზე და, საერთოდ, რამდენად სწორია, რომ კომისიამ, რომელმაც იცოდა, რომ 2015 წლის 16 ივნისიდან ამ ტიპის ლიცენზია პრაქტიკულად გამოუსადეგარი იქნებოდა, მაინც გასცა ისინი. ვფიქრობთ, ეს მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

### რეკომენდაცია :

**ანალოგური სამაუნყებლო ლიცენზიების კონვერტაცია  
ციფრულ სამაუნყებლო ლიცენზიებად.**

რა ბედი ეწევით რეგიონულ მაუნყებლებს? რეგიონული მაუნყებლისთვის, რომელიც, ქართულ რეალობაში, არც ისე გამართულია ფინანსურად, ციფრულ მაუნყებლობაზე გადასვლა საკმაოდ დიდი გამოწვევა იქნება. საერთოდ, რამდენი რეგიონული მაუნყებელია ქვეყანაში? როგორია მათი სამაუნყებლო ბადე და ხანგრძლივობა? რითი ავსებენ ეთერს?

სავარაუდოდ, ძალიან ბევრი საკითხი ექნებათ თავად რეგიონულ მაუნყებლებს ერთმანეთში განსახილველი და ქვეყნის ხელისუფლების წინაშე დასაყენებელი. ცალ-ცალკე ისინი ამ გამოწვევას ვერ გაუმკლავდებიან. არასწორი ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში, რეგიონული მაუნყებლები შეიძლება საერთოდ გაქრნენ ბაზრიდან და ისინი მათზე ეკონომიკურად ძლიერმა არხებმა შთანთქოს.

გასათვალისწინებელია, რომ 2015 წლის 16 ივნისიდან, თუ ანალოგური სიგნალი დაუმლის მეზობელი ქვეყნის ციფრულ სიგნალს, ანალოგური სიგნალის მფლობელი ვალდებული იქნება, გამორთოს გადამცემი. ხოლო, თუ მეზობელი ქვეყნის ტერიტორიიდან გავრცელებული ციფრული სიგნალი ფარავს ქვეყანაში მოქმედ ანალოგურ სიგნალს, ანალოგური სიგნალის გამომსხივებელს შეუძლია შეეგუოს ხელშეშლას, ან გამორთოს გადამცემი. ეს პირობა რეგიონულ მაუნყებელს საშუალებას აძლევს,

2015 წლის 16 ივნისის შემდეგ არ გათიშოს გადამცემი. ამისათვის დასადგენია, რა სიხშირეებს ფლობენ მეზობელი ქვეყნები და შესაძლებელია თუ არა მათ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ანალოგური სადგურების ხელშეშლა გამოიწვიონ.

**რეკომენდაცია :**

**რეგიონული მაუწყებლების საკითხის კომპლექსურად შესწავლა და პრობლემის ერთიან ჭრილში განხილვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი შეიძლება საერთოდ გაქრნენ მედია სივრციდან.**

დღეს არსებული სახით, სავარაუდოდ, რეგიონული ტელევიზიები ვერ გაუძლებენ კონკურენციას. შესაცვლელი იქნება მათი მიდგომა ბიზნეს პროცესების მიმართ.

**რეკომენდაცია :**

**რეგიონულმა მაუწყებლებმა უნდა გადახედონ საკუთარ ბიზნეს საქმიანობას და მომავალი აქტივობები დაგეგმონ არსებული რეალობიდან გამომდინარე, იმ დაბრკოლებებისა თუ შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის თანხვედრი იქნება.**

უპირველეს ყოვლისა, რეგიონული ტელევიზიების ხელმძღვანელებმა კარგად უნდა გაიაზრონ ამ ცვლილების არსი და მიიღონ გადაწყვეტილება იმის შესახებ, აგრძელებენ მუშაობას დამოუკიდებლად თუ ქმნიან რეგიონულ კონგლომერატს (როგორც ინაწილებენ რესურსებს, დანახარჯებს და ა.შ.). ამ პროცესის პარალელურად, უნდა მოხდეს თანამშრომელთა დატრენინგება, რათა მათ მიერ შექმნილი პროდუქცია მომავალში საინტერესო იყოს არა მხოლოდ ვიწრო რაიონული მასშტაბით, არამედ რეგიონის და მთელი ქვეყნისთვისაც.

### რეკომენდაცია :

**საჭიროა ჩატარდეს სპეციალური ტრენინგები, პირველ ეტაპზე, რეგიონული მაუწყებლების ხელმძღვანელების და შემდგომ სხვა თანამშრომლებისთვის, რათა მათი ქმედებები და გადადგმული ნაბიჯები შეესაბამებოდეს იმ ცვლილებებს, რაც უახლოეს მომავალში განხორციელდება.**

აღსანიშნავია, რომ 2012 წლის 13 ნოემბერს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსაგან ეცნობა, რომ „საქართველოში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის და მისი შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (EBRD) და ფინეთის მთავრობის დახმარებით, ევროპელი ექსპერტების მიერ მომზადდა საქართველოში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პოლიტიკისა და მისი განხორციელების სამსჯელო პროექტი. სახელმწიფო მნიშვნელობის ამ დოკუმენტების პროექტების შემდგომი დახვეწის სამუშაოებში მაუწყებლების, ხელისუფლების ორგანოების, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, დაინტერესებული უწყებების და ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სფეროს წამყვანი სპეციალისტების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში იქმნება სათათბირო ორგანო – ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საბჭო.“ ამავე კორესპონდენციით, სამინისტრომ შემოგვთავაზა სათათბირო ორგანოს მუშაობაში ჩართვა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მიესალმება გადანყვეტილებას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში სათათბირო ორგანოს – ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საბჭოს შექმნის თაობაზე. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული საბჭოს მუშაობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს და დააჩქარებს საქართველოში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესს.

Guide to the Digital Switchover Vienna 2010 Published by Dunja Mijatovic, the OSCE Representative on Freedom of the Media Edited by Nora Kovacs and Mike Stone.

Published by Dunja Mijatovic, the OSCE Representative on Freedom of the Media Edited by Nora Kovacs and Mike Stone. May 2010.KPMG

Value chain, Different actors of DTTV and Regulatory issues. "Transition from Analog to Digital (**Digital Terrestrial Television: Trends, Implementation & Opportunities**). Tunisia – Tunis , 12 – 15 March 2012. ITU.

MAPPING DIGITAL MEDIA:

**DIGITAL TELEVISION, THE PUBLIC INTEREST, AND EUROPEAN REGULATION.** By Petros Iosifidis. Open Society Foundations. 2012

The **Digital Switch-over Challenges and Lessons Learned. ITU Sub-Regional Seminar and Ministerial Round Table on Switchover from Analogue to Digital Terrestrial Television Broadcasting in Central and Eastern Europe** National Assembly House in Belgrade, Serbia

27-29 April 2009

REGIONAL GUIDELINES FOR A/D SWITCHOVER STRATEGIES

Project: **South-East European Digital Television Acronym: SEE Digi.TV Version A-1.0**; Date: 18.03.2012

REGIONAL GUIDELINES ON HOW TO IMPROVE LEGAL FRAMEWORK

Project: South-East European Digital Television

Acronym: SEE Digi.TV

Version R-1.1; Date: 28.05.2012

Regulatory and Environmental Impact Assessment: the timing of digital switchover

September 2005, DTI

Digital Switchover Strategies Challenge and Lessons learned

ITU BDT Seminar

Transition from Analogue to Digital Broadcasting: correlation between technical, economic and social costs and advantages»

ANALOGUE TO DIGITAL SWITCHOVER: HUMAN ASPECTS OF ADOPTION A SCOPING STUDY FOR THE DIGITAL TELEVISION PROJECT

A consortium led by **Professor Leela Damodaran Loughborough University**

Digital Terrestrial Television The Swedish Experience

Vienna, February 15, 2011

## TOOLS AND METHODS FOR MEASURING PUBLIC AWARENESS

Project: South-East European Digital Television


Acronym: SEE Digi.TV

Version A-1.0; Date: 04.04.2012

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009, 2010, 2011 წლების წლიური ანგარიშები

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სამართლებრივი ასპექტები, საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი, 2012 წელი. სანდრო ბარამიძე

# დანართები



საქართველოს იურიდიული ასოციაცია  
Georgian Young Lawyers' Association  
GYLA

## საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

---

გ. კახიძის №15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 295 23 53; ფაქსი: (995 32) 292 32 11

ელ. ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53; Fax: (995 32) 292 32 11

ტ-მაილ: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ გ.თა/244-12

22.05 201 25.


საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს  
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება  
(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის შესაბამისად, გთხოვთ, მომწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

1. შეგუწვდა თუ არა სახელმწიფო სტრატეგია ციფრულ მართვებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით. დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვარდოთ შესაბამისი დოკუმენტაცია;
2. როდის გეგმავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მოახდინოს აღნიშნული გეგმის წარდგენა.

თამარ ჩუგოშვილი  
თავმჯდომარე



შემსრულებელი ნათია კვანაცხე

ქ.თ/ა.რ  
01.06.12

წ.ჯანაძე



საქართველოს  
ეკონომიკისა და მდგრადი  
განვითარების სამინისტრო



MINISTRY OF ECONOMY  
AND SUSTAINABLE  
DEVELOPMENT OF GEORGIA

0108 თბილისი, ჭავჭავაძის ქ. N12  
12, G. Chanturia str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 99 11 05; 99 11 11  
Fax.: (+995 32) 921534

№ 08/11719

31 / მაისი / 2012 წ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა  
ასოციაციის თავმჯდომარეს  
ქალბატონ თამარ ჩუგოშვილს

მის: გ. კახიძის ქ. №15  
თბილისი 0102, საქართველო

ქალბატონო თამარ,

თქვენს 2012 წლის 22 მაისის №გ-04/211-12 განცხადებასთან (სამინისტროში რეგისტრაციის №21708/11; 24.05.2012წ.) დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოში ციფრულ მანუქცებლობაზე გადასვლის პოლიტიკის პროექტი შემუშავების პროცესშია, რომელიც სამუშაოთა დასრულების შემდეგ საჯარო გახდება.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის  
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

პაველ ოკუჯავა





# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

საქართველო, თბილისი, საქართველო, 0102 რედუ-1 | მისამართი: 23-52/1-სართ. | 995 421 210 79 11  
ელ. ფოსტა: gyla@gyla.ge, www.gyla.ge  
საქართველო, თბილისი, Georgia | მისამართი: 23-52/1-სართ. | 995 421 210 79 11  
ელ. ფოსტა: gyla@gyla.ge, www.gyla.ge

№ 3-04/230-12

28.07      2012

საქართველოს კონსტიტუციას და მდგრადი განვითარების სამსახურის  
საჯარო ინფორმაციის გადგენზე პასუხისმგებელ პირს

## გ ა ნ გ ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული  
კოდექსის III თავის შესაბამისად ვთხოვთ, მოგაწოდოთ შემდეგი ხაზის ინფორმაცია:

1. შემუშავდა თუ არა სახელმწიფო სტრატეგია ციფრულ მართვებლობაზე გადასვლისათვის დაკავშირებით, ვიზიტი, დადებითი პასუხის შემთხვევაში მოგაწოდოთ შესაბამისი დოკუმენტაცია, უარყოფითი პასუხის შემთხვევაში კი განვიმარტოთ რატომ არაა შესაძლებელი შემუშავება და რა დის ვარაუდობო მის დასრულებას.
2. საქართველოს კონსტიტუციის უზენაესმა კომისიამ მოგაწოდოთ თუ არა თავისი მისაზრება ციფრულ მართვებლობაზე გადასვლისათვის დაკავშირებით დადებითი პასუხის შემთხვევაში, ვიზიტი, მოგაწოდოთ შესაბამისი დოკუმენტაცია.

საბუროსეცხით,  
თამარ ჩუგუნელი  
თავმჯდომარე

შემწოდებულია მხოლოდ გვერდისაზე

შ-04/171-12.  
06.08.12.

*ქ. ვაგლიშვილი*



KA020154194459912

საქართველოს  
ეკონომიკისა და მდგრადი  
განვითარების სამინისტრო



MINISTRY OF ECONOMY  
AND SUSTAINABLE  
DEVELOPMENT OF GEORGIA

0108 თბილისი, შანტურის ქ. N12  
12, G. Chanturia str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05; 2 99 11 11  
Fax.: (+995 32) 2 921 534

№ 08/16750

02 / აგვისტო / 2012 წ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა  
ასოციაციის თავმჯდომარეს  
ქალბატონ თამარ ჩუგოშვილს

მის: ჯ. კახიძის №15  
თბილისი, 0102  
საქართველო

ქალბატონო თამარ,

თქვენს 2012 წლის 25 ივლისის №გ-04/282-12 განცხადებასთან (სამინისტროში რეგისტრაციის №30742/12; 27.07.2012წ.) დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოში ციფრულ მარეგულირებაზე ადასვლის პოლიტიკის პროექტი შემუშავების პროცესშია, რომელიც სამუშაოთა დასრულების შემდეგ საჯარო გახდება.

ღრმა

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის  
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

შაველ ოკუჯავა



# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

გ. კახიძის №15, თბილისი, საქართველო, 0102, ტელ: (995 32) 295 23 53; ფაქსი: (995 32) 292 32 11  
ელ.ფოსტა: gyvla@gvla.ge; www.gvyla.ge  
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53; Fax: (995 32) 292 32 11  
E-mail: gyvla@gvyla.ge; www.gvyla.ge

№ გთა/12-17

18.10. 201 25.

საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს  
საჯარო ინფორმაციის გაგებაზე პასუხისმგებელ პირს

### გ ა ნ გ ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის შესაბამისად გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. დასრულდა თუ არა ციფრულ მასუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით სახელმწიფო სტრატეგიაზე მუშაობა. გთხოვთ, დადებითი პასუხის შემთხვევაში მოგვაწოდოთ შესაბამისი დოკუმენტაცია, უარყოფითი პასუხის შემთხვევაში კი განვიმარტოთ რა ეტაპზეა გეგმის შემუშავება და როდის ვარაუდობთ მის დასრულებას.
2. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მოგაწოდათ თუ არა თავისი მოსაზრება ციფრულ მასუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით. დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შესაბამისი დოკუმენტაცია.

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 40-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ჩვენს მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია მოგვაწოდოთ დაუყოვნებლოვ.

პატივისცემით,  
ეკატერინე ფოფხაძე

აღმასრულებელი დირექტორი

საქართველოს ინფორმაციის სამსახური
18 10 2015

*ხონიძე*

შემსრულებელი: მარიამ გოგოსაშვილი

7.04/414-17  
24.10.12



KA020117066862412

27

საქართველოს  
ეკონომიკისა და მდგრადი  
განვითარების სამინისტრო



MINISTRY OF ECONOMY  
AND SUSTAINABLE  
DEVELOPMENT OF GEORGIA

0108 თბილისი, ჭავჭავაძის ქ. N12  
12, G. Chanturia str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05; 2 99 11 11  
Fax: (+995 32) 2 921534

№ 08/20728

23 / ოქტომბერი / 2012 წ.

საქართველოს ახალგაზრდა  
იურისტთა ასოციაციის  
აღმასრულებელ დირექტორს  
ქალბატონ ეკატერინე ფოფხაძეს

მის: საქართველო, ქ.თბილისი 0102  
ჯ.კახიძის ქ.№15

ქალბატონო ეკატერინე,

თქვენს 2012 წლის 18 ოქტომბრის №გ-04/12-12 წერილთან (სამინისტროში რეგისტრაციის №38968/11; 18.10.2012წ.) დაკავშირებით გაცნობებით, რომ საქართველოში ციფრულ მართვებში გააძლიერების პოლიტიკის პროექტი შემუშავების პროცესშია, რომელიც სამუშაოთა დასრულების შემდეგ საჯარო გახდება.

ღრმა  
პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის  
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

პაველ ოკუაჯავა



# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

შ. კახიძის №15, თბილისი, საქართველო, 0102, ტელ: (995 32) 295 23 53; ფაქსი: (995 32) 292 32 11  
ელ-ფოსტა: gyfa@gyfa.ge, www.gyfa.ge  
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia, Tel: (995 32) 295 23 53; Fax: (995 32) 292 32 11  
E-mail: gyfa@gyfa.ge; www.gyfa.ge

№ გ-64/14-12

24.10 2012 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს  
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს  
ბატონ პავლე ოკუჯავას

ბატონო პავლე,

2012 წლის 18 ოქტომბერს განცხადებით მოგმართეთ და საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის შესაბამისად მოვითხოვეთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

1. დასრულდა თუ არა ციფრულ მასშტაბზე გადასვლასთან დაკავშირებით სახელმწიფო სტრატეგიაზე მუშაობა. გთხოვთ, დადებითი პასუხის შემთხვევაში მოგვაცნოდით შესაბამისი დოკუმენტაცია, უარყოფითი პასუხის შემთხვევაში კი განვიმარტოთ რა ეტაპზეა გეგმის შემუშავება და როდის ვარაუდობთ მის დასრულებას.
2. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მოგაწოდათ თუ არა თავისი მოსაზრება ციფრულ მასშტაბზე გადასვლასთან დაკავშირებით. დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვაცნოდით შესაბამისი დოკუმენტაცია.

თქვენი 2012 წლის 23 ოქტომბრის წერილით გვეცნობა, რომ საქართველოში ციფრულ მასშტაბზე გადასვლის პოლიტიკის პროექტი შემუშავების პროცესშია, რომელიც სამუშაოთა დასრულების შემდეგ საჯარო გახდება.

თქვენი წერილით ჩვენს მიერ მოთხოვილი ინფორმაციის მხოლოდ ერთ ნაწილზე ვაგვეცა პასუხი.

გთხოვთ, გვაცნობოთ რა ეტაპზეა საქართველოში ციფრულ მასშტაბზე გადასვლის პოლიტიკის პროექტის შემუშავება და როდის ვარაუდობთ მის დასრულებას, ამასთანავე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მოგაწოდათ თუ არა თავისი მოსაზრება ციფრულ მასშტაბზე გადასვლასთან დაკავშირებით. დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვაცნოდით შესაბამისი დოკუმენტაცია.

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 40-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ჩვენს მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია მოგვაცნოდით დაუყოვნებლივ.

პატივისცემით,

ეკატერინე ფოფხაძე  
აღმასრულებელი დირექტორი

შემსრულებელი: მარიამ გოგოსაშვილი

ქ.თა/423/12 08/11/12



KA020103690298312

ქმ

საქართველოს  
ეკონომიკისა და მდგრადი  
განვითარების სამინისტრო



MINISTRY OF ECONOMY  
AND SUSTAINABLE  
DEVELOPMENT OF GEORGIA

0108 თბილისი, ჭავჭავაძის ქ. N12  
12, G. Chavchavaძის str., 0108 Tbilisi, Georgia

Тel.: (+995 32) 2 99 11 05; 2 99 11 11  
Fax: (+995 32) 2 921534

№ 08/20917

05 / ნოემბერი / 2012 წ.

საქართველოს ახალგაზრდა  
ოურისტთა ასოციაციის  
აღმასრულებელ დირექტორის  
ქალბატონ ეკატერინე ფოფხაძეს

მის: ჯ.კახიძის ქ.№15  
ქ.თბილისი, საქართველო 0102

**ქალბატონო ეკატერინე,**

თქვენს 2012 წლის 24 ოქტომბრის №გ-04/14-12 განცხადებასთან (სამინისტროში რეგისტრაციის №39338/11; 26.10.2012წ.) დაკავშირებით დამატებით გაცნობებით, რომ ევროპის განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკის (EBRD) და ფრეთის შთავრების ტექნიკური დახმარებით, ევროპელი ექსპერტების მიერ შემუშავებულია ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პოლიტიკის და მისი განხორციელების სამთავრო პროექტები, რომელთა დახვეწაზე მიმდინარეობს მუშაობა, რომელშიც ჩართული იქნებიან მაუწყებლების, შესაბამისი სამთავრობო და დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარმომადგენლები, სფეროს წამყვანი სპეციალისტები და ა.შ. განსახილველ მნიშვნელოვან საკითხთა რაოდენობიდან და სიროთლიდან გამომდინარე აღნიშნული დოკუმენტების პროექტებზე მუშაობის დასრულება ნაგარაუდვია 2013 წლის 1 აპრილამდე, რის შემდეგ ისინი საზოგადოებრივი მსჯელობისთვის საჯარო გახდება.

ამასთან ერთად გაცნობებით, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან ციფრული მაუწყებლობის ზოგიერთ საკითხებზე კონსულტაციები მიმდინარეობდა, მაგრამ კომისიის სამინისტროსათვის ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საკითხებზე რეკომენდაციები ან/და მოსაზრებები ოფიციალურად არ წარმოუდგენია, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 30 ოქტომბერს კომისიის მიერ მის ვებ გვერდზე განთავსებული იქნა საბრუნვატაციო მასალა "ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის მოდულები და კომისიის ხედვა".

ლრმა  
პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის  
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

მავლე ოკუაია

შ-01/385-12.  
14.11.12.



საქართველოს  
ეკონომიკისა და მდგრადი  
განვითარების სამინისტრო



MINISTRY OF ECONOMY  
AND SUSTAINABLE  
DEVELOPMENT OF GEORGIA

0108 თბილისი, ჰანტურის ქ. N12  
12, G. Chanturia str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05; 2 99 11 11  
Fax: (+995 32) 2 921534

№ 12/21100

13 / ნოემბერი / 2012 წ.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის  
თავმჯდომარეს ქალბატონ თამარ ჩუგუნიძეს

ქალბატონო თამარ,

გაცნობებით, რომ ტელეკომუნიკაციების სერთიფიკაციის კავშირის (ITU) შესაბამისი გადაწყვეტილებებით ევროპის ქვეყნები და მათ შორის საქართველოში 2015 წელს უნდა დასრულდეს ანალოგური მაუწყებლობიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესები.

ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა, მაუწყებლობის სფეროში სახელმწიფო მნიშვნელობის ფართომასშტაბიანი რეფორმაა, რომლის წარმატებით განხორციელება შესაძლებელია ხელისუფლების ორგანოების, სამაუწყებლო კომპანიების, საზოგადოების ურთიერთშეთანხმებული, მიზანდასახული და კოორდინირებული მოქმედებით, სერთიფიკაციის ორგანიზაციებთან და მუშაობელ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

საქართველოში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის და მისი შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით ევროპის განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკის (EBRD) და ფინეთის მთავრობის დახმარებით ევროპელი ექსპერტთა გუნდის მიერ მომზადებული იქნა საქართველოში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პოლიტიკის და მისი განხორციელების სამსჯელო პროექტი. სახელმწიფო მნიშვნელობის ამ დოკუმენტების პროექტების შემდგომი დახვეწის სამუშაოებში მათემატიკური მნიშვნელობის ორგანიზაციის, საზოგადოების, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, დაინტერესებული უწყებების და ორგანიზაციების არასამთავრობო ორგანიზაციების და სფეროს წარმომადგენლის, საკომუნიკაციოების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში იქმნება საათობრო ორგანო-ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საბჭო.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან გთხოვთ ზემოაღნიშნული საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოვლინით თქვენი ორგანიზაციის უფლებამოსილი მუშაკი და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ გეგმიებით შესაძლო მოვლენად.

აღნიშნულ საკითხზე ჩვენი საკონტაქტო პიროვნება ბატონი გიორგი დაჯქვიანავილი - კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიების და ინოვაციების დეპარტამენტის, ინფორმაციის კომუნიკაციების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, ტელ: 299-10-41; ელ-ფოსტა: [ict@economy.ge](mailto:ict@economy.ge)

ღრმა პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ნათია მიქელაძე



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია  
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. კახიძის ქ. 15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 295 23 53; ფაქსი: (995 32) 292 32 11  
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge  
15, J. Kakhlidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53; Fax: (995 32) 292 32 11  
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ კ-01/247-12

19. 11. 2012 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ნათია მიქელაძეს

ქალბატონო ნათია,

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია შეესალმება გადაწყვეტილებას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში სათათბირო ორგანოს - ციფრულ მალწეებლობაზე გადასვლის საბჭოს შექმნის თაობაზე.

ვიმედოვნებთ, რომ თქვენს მიერ შემოთავაზებული სამუშაო ფორმატი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს და დააჩქარებს ციფრულ მალწეებლობაზე გადასვლის პროცესს.

ამასთანავე გამოიხატავთ მზადყოფნას, რათა აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ქვეყანაში ციფრული მალწეებლობაზე გადასვლის სტრატეგიის შემუშავებაში.

გაცნობებით, რომ საბჭოში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლობას განაზოვრცილებს საიას მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის კოორდინატორი ნათია კაპანაძე, საკონტაქტო მონაცემები: [Kapanadze@gyla.ge](mailto:Kapanadze@gyla.ge) 555 795 776.

პატივისცემით,

თამარ ჩუგოშვილი

თავმჯდომარე